# ბრძანება № 1-64

გორი 30 09 2024 წ.

## სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში რიგგარეშე მობილობის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 04 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2024 წლის 24 სექტემბრის №1.1/103 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მობილობის მსურველები, რომლებმაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში, მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის მიზნით, ვალდებულნი არიან მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს განცხადებით 2024 წლის 30 სექტემბრიდან 2024 წლის 03 ოქტომბრის ჩათვლით.

მობილობის მსურველ სტუდენტთა განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული შემდეგი დოკუმენტები:

ა) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი;

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები;

ე) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის ასლი.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული გადმოსვლის მსურველი სტუდენტები/პირები, უნივერსიტეტის მიერ მათი კრედიტების აღიარების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, არაუგვიანეს 2024 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით ვალდებულნი არიან განაცხადონ თანხმობა/უარი უნივერსიტეტში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

3. სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირადი საქმე, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს;

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათს;

გ) ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. აბიტურიენტები, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული რანჟირების დოკუმენტის მიხედვით, მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება შპს - დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის მიზნით, ვალდებულნი არიან მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს განცხადებით 2024 წლის 30 სექტემბრიდან 2024 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით.

5. წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრულ განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადატურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (დედნის წარმოდგენით);

ბ) ორი ფოტოსურათი (3X4) და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია CD-ზე;

გ) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ან სამხედრო ბილეთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

დ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ეს ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

7. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

8. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი